საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3402
12/07/2022

3402-21-2-202207121917

**ი/მ გოდერძი მათიაშვილს**
**მის:** ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭიკაანი
**ელ. ფოსტა:** garemo.telavi@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №2305 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჭიკაანში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში მოცემული GPS კოორდინატები საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობის განხორციელების ადგილის Shp ფაილები;
- დოკუმენტში მოცემული არ არის ნავთობპროდუქტების რეზერვუარების სასუნთქი სარქველების პარამეტრები (სიმაღლე, დიამეტრი);
- საწვავის შესანახად მოწყობილი რეზერვუარების შესახებ ინფორმაცია (მიწისქვეშა/მიწისზედა, ამგები მასალა და სხვა);
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყალაღების საკითხი;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, „ტერიტორიაზე მოწყობილია ჩანარეცხი წყლების მიმღები ღარი სიგანით 10 სმ, რომლიდანაც ნარეცხი წყალი ხვდება ნავთობპროდუქტების დამჭერ მექანიკურ გამწმენდში, საიდანაც გაწმენდილი წყალი ჩაიშვება არსებულ სანიაღვრე არხში“. განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია აღნიშნული არხის მესაკუთრის და მასთან შეთანხმების შესახებ;
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების საკითხი;
- დოკუმენტში მითითებულია, რომ „ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი ნახმარი წყლები ჩართულია მის ტერიტორიაზე მოწყობილ საასენიზაციო ორმოში“. დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შემდგომი მართვის საკითხი;
- 6.8 თავში მითითებულია, რომ „ავტოგასამართი სადგური მოწყობილია სოფელ ცოდნისკარის ურბანულ ზონაში“. აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო